საერთაშორისო ანგარიში რელიგიის თავისუფლების შესახებ

2014 წელი, საქართველო

შეჯამება

კონსტიტუცია ითვალისწინებს რელიგიის თავისუფლებას და ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას. თუმცა კანონები და პოლიტიკა გამოარჩევს *საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას* (სმე), ანიჭებს მას ისეთ პრივილეგიებს, როგორებითაც არცერთი სხვა რელიგიური ჯგუფი არ სარგებლობს. წლის განმავლობაში გაჩნდა შეტყობინებები რწმენაზე ძალდატანებით მოქცევისა და, სულ მცირე, ერთი ძალადობის შემთხვევის შესახებ პოლიციასა და რელიგიის საკითხებზე პროტესტის გამომხატველებს შორის. *ადამიანის უფლებთა ევროპული სასამართლოს* (ECHR) გადაწყვეტილების შემდეგ ადრეულ წლებში პოლიციის ძალადობის მსხვერპლებს მთავრობა რესტიტუციის უზრუნველყოფას დაჰპირდა. მთავრობამ მიიღო *ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია* და სათანადო *სამოქმედო გეგმა,* რომლებიც მიზნად ისახავს რელიგიური შემწყნარებლობის წახალისებასა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას. მთავრობამ დააარსა *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო* და სახსრებით უზრუნველყო ოთხი რელიგიური ჯგუფისათვის საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ. რელიგიური ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების (NGOs) კრიტიკის საგნად იქცა შერჩევის პროცესში გამჭვირვალობის ნაკლებობა, რადგანაც სხვა რელიგიური ჯგუფები კომპენსაციის მისაღებად არ შეურჩევიათ. მთავრობამ ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო იმ საკუთრების დაბრუნება ან შენარჩუნება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა უმცირესობის რელიგიური ჯგუფები და რომელსაც სამთავრობო ორგანიზაციები ფლობდა. რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ. რელიგიური საქმიანობა კერძოდ შეეზღუდათ *საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას* და *იეღოვას მოწმეებს* აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში, რომლებიც ცენტრალური მთავრობის კონტროლს მიღმა დარჩა.

ორგანიზაციამ *იეღოვას მოწმეები* განაცხადა ფიზიკური თავდასხმებისა და შევიწროების შემთხვევების ზრდის შესახებ, მათ შორის ერთი შემთხვევის შესახებ, როცა პირი გარდაიცვალა ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, რომელიც ჩაუტარდა დაპირისპირებისას მიყენებული დაზიანებების გამო. რელიგიური უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლების ცნობით, არსებობს ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის კულტურულ ფასეულობებს და, მათი თქმით,

რელიგიურ საქმიანობაში წინააღმდეგობას აწყდებიან. *ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის* (TDI) ანგარიშში ნათქვამია, რომ *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის* სამღვდელოება მონაწილეობდა მტრული საზოგადოებრივი დამოკიდებულების შექმნაში რელიგიური უმცირესობის თემებისადმი. 10 სექტემბერს ბავშვებისათვის განკუთვნილი ახალი საცხოვრებელი მედრესეს მოწინააღმდეგეებმა ქობულეთში გადაკეტეს სკოლის შესასვლელი და არ დაუშვეს მისი მუშაობა.

აშშ-ის ელჩი და საელჩოს ოფიციალური წარმომადგენლები ხელს უწყობდნენ მთავრობასა და რელიგიური უმცირესობის ჯგუფებს შორის დიალოგს, რომელშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ შემწყნარებლობას და მთელ ქვეყანაში მოგზაურობდნენ რელიგიური უმცირესობის თემებთან შესახვედრად. საელჩოს წარმომადგენლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ რელიგიურ თემებთან და სახელმწიფო მოხელეებთან არაერთი შემთხვევის თაობაზე, რომლებიც უკავშირდებოდა რელიგიური თავისუფლების ხელყოფას, მათ შორის ქობულეთში რელიგიური სკოლის კარზე ღორის თავის მიჭედებასა და მოხეში სადავო ადგილას სათემო ცენტრის მშენებლობის დაგეგმვას.

I ნაწილი. რელიგიური დემოგრაფია

აშშ-ის მთავრობის შეფასებით, მთელი მოსახლეობა შეადგენს 4.9 მილიონს (2014 წლის ივლისის მონაცემებით). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მართლმადიდებელი ქრისტიანები შეადგენენ მოსახლეობის 84 პროცენტს, მათ მოსდევენ მუსლიმანები 10 პროცენტით და *სომხური სამოციქულო ეკლესიის* წევრები - 4 პროცენტით.

არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია ეთნიკურობას, რელიგიურ კუთვნილებასა და საცხოვრებელ რეგიონს შორის. ეთნიკურად ქართველების უმრავლესობა *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის* წევრია. მცირე რაოდენობით უმეტესად ეთნიკურად რუსები რამდენიმე მართლმადიდებელი ჯგუფის წევრები არიან, რომლებიც არ უკავშირდება *საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას,* მათ შორის არიან მალაკნები, სტაროვერები (ძველი მორწმუნეები) და დუხობორები (სულიერი მებრძოლები). ეთნიკურად აზერბაიჯანელები, რომლებიც უპირატესად შიიტი მუსლიმები არიან, მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან ქვემო ქართლში, სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში. სხვა მუსლიმურ ჯგუფებს შეადგენენ ეთნიკურად ქართველი მუსლიმები აჭარაში და ქისტები ჩრდილო-აღმოსავლეთში, რომლებიც უპირატესად სუნიტები არიან. ბევრი მიგრანტი, რომელიც სამხრეთ რეგიონში, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს, ეთნიკურად

ქართველი მუსლიმია, წარმოშობით აჭარიდან. ეთნიკურად სომხები ძირითადად *სომხურ სამოციქულო ეკლესიას* ეკუთვნიან და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

კათოლიკეები, ქურთი იეზიდები, ბერძენი მართლმადიდებლები და ებრაელები ერთად ქმნიან მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს. „არატრადიციული“ რელიგიური ჯგუფების, როგორებიცაა ბაპტისტები, იეღოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და კრიშნაიდები, რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად, ისინი ერთად შეადგენს მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლებს.

II ნაწილი. მთავრობის მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა

სამართლებრივი ჩარჩო

კონსტიტუცია აცხადებს „რელიგიის სრულ თავისუფლებას“ და რელიგიის საფუძველზე თანასწორებას და გამოხატვის თავისუფლებას ითვალისწინებს. იგი ცნობს *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის* განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ისტორიაში, თუმცა ადგენს ეკლესიის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას. კანონი ითვალისწინებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას რელიგიური კუთვნილების არჩევისა და შეცვლის უფლების ჩათვლით.

მთავრობასა და *საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას* შორის დადებული კონკორდატი ამ უკანასკნელს უნიკალურ სტატუსს ანიჭებს; მთავრობას კონკორდატი არ გაუფორმებია რომელიმე სხვა რელიგიურ ჯგუფთან. კონკორდატი ანიჭებს ისეთ უფლებებს, რომლებიც არცერთ სხვა რელიგიურ ჯგუფს არ ეძლევა, მათ შორის - იურიდიულ იმუნიტეტს პატრიარქისათვის, გამონაკლის უფლებებს არმიაში მოსამსახურე სასულიერო პირებისთვის, სმე-ის სამღვდელოების განთავისუფლებას სამხედრო სამსახურისგან და საკონსულტაციო როლს მთავრობაში, განსაკუთრებით, განათლების სფეროში. კონკორდატის ზოგ დებულებას, მათ შორის დებულებას განათლებაში სმე-ის საკონსულტაციო როლის შესახებ, სჭირდება შესაბამისი კანონის ამოქმედება, რომელიც პარლამენტს ჯერ არ მიუღია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) ან არაკომერციული რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის შესაძენად კანონი რელიგიური ორგანიზაციებისგან სახელმწიფო ორგანოებში დარეგისტრირებას ითხოვს. რეგისტრაციისთვის ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საქართველოსთან ისტორიული კავშირები და *ევროპის საბჭოს* წევრი სახელმწიფოები მას უნდა ცნობდნენ, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, მაგრამ კანონი არ უთითებს, თუ ვინ განსაზღვრავს, რას წარმოადგენს „ისტორიული კავშირები.“ გარდა ამისა, ორგანიზაციამ, რომელიც

რეგისტრირდება სსიპ სტატუსის მისაღებად, *საჯარო რეესტრში* უნდა წარადგინოს თავისი მიზნებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, აგრეთვე მმართველი ორგანოს და დამფუძნებლებისა სია.

კერძო არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონი განსაზღვრავს კონფესიების მოქმედებებსა და უფლებებს, რომლებიც რეგისტრირებულია სსიპ სტატუსით და არ უზრუნველყოფს ამ ჯგუფებს რაიმე სარგებლით ან სახელმწიფო დაფინანსებით.

საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას არ განიხილავს ეკონომიკურ საქმიანობად და რელიგიური ჯგუფებისთვის უშვებს ნაწილობრივ საგადასახადო შეღავათებს შემოწირულობებზე. *საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის* გარდა, სხვა რელიგიურ ჯგუფებზე დაკისრებული გადასახადები შეადგენს მოგების გადასახადს, მიღებულს რელიგიური დანიშნულების პროდუქციის გაყიდვებიდან, დამატებითი ღირებულების გადასახადს რელიგიური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებასა ან ქვეყანაში შემოტანაზე და გადასახადებს ყველა იმ საქმიანობისთვის, რომლებიც უკავშირდება რელიგიური დანიშნულების შენობების შენებას, აღდგენასა და მოხატვას.

სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ღვთისმსახურებაში ხელშეშლას, პიროვნების დევნას რელიგიური რწმენისა ან შეხედულების ნიშნით და რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებაში ხელშეშლას. დარღვევები ისჯება ჯარიმებით, თავისუფლების აღკვეთით ან ორივეთი ერთად; დარღვევები, რომლებიც ჩაიდინა საჯარო მოსამსახურემ ან მოხელემ, განიხილება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებად და ისჯება უფრო დიდი ჯარიმით ან უფრო გძელვადიანი თავისუფლების აღკვეთით. რელიგიური ნიშნით დევნის შემთხვევებში პირს სამ წლამდე ვადით შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, რაც დამოკიდებულია ძალადობის ან მუქარის რაობაზე, მოძალადის სამსახურეობრივ მდგომარეობასა და მის მიერ მიყენებული ზიანის სიმძიმეზე. რელიგიური რიტუალების აღსრულების უფლების უკანონო დარღვევის შემთხვევებში, როგორებიცაა ძალადობა ან მუქარა, დამნაშავეს ორ წლამდე ვადით შეიძლება აღეკვეთოთ თავისუფლება; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონდამრღვევს უკავია საპასუხისმგებლო თანამდებობა - ხუთ წლამდე ვადით. რელიგიური ორგანიზაციის დაფუძნებაში ხელშეშლა ისჯება ჯარიმით, ერთ წლამდე ვადით გამოსასწორებელი სამუშაოთი ან ორი წლით თავისუფლების აღკვეთით.

კანონის თანახმად, *მთავარი პროკურატურა* იძიებს ადამიანის უფლებების დარღვევებს, დაკავშირებულს რელიგიის თავისუფლებასთან. *მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო* მეთვალყურეობს რელიგიური თავისუფლების დაცვას. *სახალხო დამცველი* მუშაობს, როგორც

ადამიანის უფლებათა ომბუდსმენი და მეთვალყურეობს საჩივრებს რელიგიური თავისუფლების შეზღუდვებზე.

კანონის მიხედვით, არ შეიძლება საჯარო სკოლების გამოყენება რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნით. კანონი აცხადებს, რომ მოაწავლეებს აქვთ უფლება ხელი მოკიდონ რელიგიის შესწავლას და შეასრულონ რელიგიური რიტუალები „საკუთარი ნებით,“ რელიგიური განათლების შეძენის მიზნით, ოღონდ მხოლოდ სასკოლო დროის შემდეგ. გარეშე მრჩევლებს, მათ შორის სამღვდელოებას, შეუძლიათ დაესწრონ ან წარმართონ მოსწავლეთა განათლება ან საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ამ საქმისათვის უშუალოდ მოსწავლეების მიერ იქნებიან მოწვეულები. სკოლის ადმინისტრაციას და მასწავლებლებს არ შეუძლიათ ჩაერთონ ამ პროცესში.

2 მაისს, პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვა სახეებს შორის კრძალავს რელიგიური რწმენისა და კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას.

მთავრობის საქმიანობა

შემოვიდა ცნობები სარწმუნოებაზე ძალდატანებით მოქცევის და პოლიციასა და რელიგიურ საკითხებზე პროტესტის გამომხატველებს შორის ძალადობის, სულ მცირე, ერთი შემთხვევის შესახებ. *ადამიანის უფლებთა ევროპული სასამართლოს* (ECHR) გადაწყვეტილების შემდეგ მთავრობა ადრეულ წლებში პოლიციის ძალადობის მსხვერპლებს რესტიტუციის უზრუნველყოფას დაჰპირდა. მთავრობამ შეიმუშავა სტრატეგია და განხორციელების პროგრამები უმცირესობაში მყოფი რელიგიური ჯგუფების მხარდასაჭერად, თუმცა გაკრიტიკებული ოყო რელიგიური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიეტ. მთავრობამ ვერ მოახერხა იმ საკუთრების დაბრუნება ან შენარჩუნება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა უმცირესობის რელიგიური ჯგუფები და რომელსაც იმჟამად სამთავრობო ორგანიზაციები ფლობდა. მუსლიმმა და ებრაულმა ჯგუფებმა, ისევე, როგორც კათოლიკურმა, ევანგელისტურმა, ბაპტისტურმა და სომხურმა სამოციქულო ეკლესიებმა გააკრიტიკეს მთავრობის პოლიტიკა ამ თვალსაზრისით. ასევე შემოვიდა საჩივრები იმის შესახებ, რომ მთავრობა სათანადოდ არ მოეპყრო რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს და სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საკითხს საჯარო სკოლებში.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა მაისში გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც აცხადებს, რომ მან მიიღო ჩამონათვალი იმ სკოლებისა, სადაც შთააგონებდნენ და აიძულებდნენ სხვა აღმსარებლობის მქონე ბავშვებს, ძირითადად,

აჭარელ მუსლიმებს, მართლმადიდებელ ქრისტიანობაზე მოქცევას. აგრეთვე შემოვიდა ცნობა მასწავლებლის მიერ იმ მოსწავლის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც არ იყო მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევარი.

ოქტომბერში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოხეში, იმ შენობის გამო დავას, რომელიც ოდესღაც მეჩეთის ფუნქციას ასრულებდა, მოჰყვა პროტესტი და პროტესტის გამომხატველებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ახალი სათემო ცენტრისა და ბიბლიოთეკისთვის ეს ადგილი შეარჩია, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდა სოფლის ორივე თემი - მუსლიმურიც და ქრისტიანულიც. არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებამ პროტესტის გამომხატველთა მიმართ ძალას გადააჭარბა და გააკრიტიკეს ის ვითარება, რომ არ არსებობს საკულტო ნაგებობებზე საკუთრების უფლების რესტიტუციის სამთავრობო პოლიტიკა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოხეში ძალადობას „მიუღებელი“ უწოდა და საკითხის მოსაგვარებლად *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს* რეკომენდაციის შემუშავება დაავალა. დეკემბერში სახელმწიფო სააგენტომ შექმნა საგანგებო კომისია, რათა საკუთრების ისტორია გამოერკვია. სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის, ზაზა ვაშაყმაძის, თქმით, კომისიაში შევა 11 წევრი - მართლმადიდებელი ეკლესიის, მუსლიმების, *კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა* და რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. წლის ბოლოსათვის კომისიას საკუთრების შესახებ გადაწყვეტილება არ ჰქონდა მიღებული და მშენებლობა იმ ადგილას კვლავ შეჩერებულია.

საჯარო რეესტრმა პრაქტიკულად ყველა ორგანიზაცია გააფორმა, რომელმაც რეგისტრაცია მოითხოვა. წლის ბოლოსათვის მთავრობას დარეგისტრირებული ჰქონდა უმცირესობის 52 რელიგიური ჯგუფი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მათ შორის *კათოლიკური ეკლესიის* სამი შტო, ოთხი მუსლიმური ჯგუფი, ლუთერანები, იეზიდები, ორი ებრაული ჯგუფი, *სომხური სამოციქულო ეკლესია* და ევანგელისტ-ბაპტისტები.

სახალხო დამცველის აპარატის ტოლერანტობის ცენტრის ცნობით, იეღოვას მოწმეებმა შეიტანეს 65 საჩივარი მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან მათი უფლებების დარღვევებზე, მათ შორისაა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ღვთისმსახურების ხელშეშლა, მშენებლობის უფლებასთან დაკავშირებული სირთულეები და საკუთრების დაზიანება და ვანდალიზმი. *ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის* (TDI) თქმით, 2014 წლის პირველ ხუთ თვეში

დანაშაულებების რაოდენობა გაუთანაბრდა მთელი 2013 წლის მონაცემს, წელიწადისა, როცა 2012 წელთან შედარებით დარღვევები გაოთხმაგდა.

მთავარმა პროკურატურამ სისხლის სამართლის 11 საქმის გამოსაძიებლად აღძრა საქმე, რომელიც უკავშირდებოდა *იეღოვას მოწმეების* მიმართ რელიგიურ შეუწყნარებლობას. მთავარმა პროკურატურამ აგრეთვე გამოიძია რელიგიური რიტუალების უკანონო ხელშეშლის ოთხი და ფიზიკური ძალადობის ორი შემთხვევა. ორი პირი დამნაშავედ ცნეს რელიგიური ნიშნით დევნის გამო, რომელთაგან ერთს ორ წლამდე პირობით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გარდა ამისა, მიღებული შეტყობინებების თანახმად, *მთავარმა პროკურატურამ* წამოიწყო ძიება *იეღოვას მოწმეების* საკუთრების დაზიანების ორი შემთხვევის გამო.

არასამთავრობო ოგანიზაციებმა გააკრიტიკა მთავრობა, რომელმაც ვერ მოახერხა ჩაეტარებინა შედეგიანი გამოძიებები რელიგიური სიძულვილით მოტივირებულ წინა შემთხვევებში. *სახალხო დამცველის* 2013 წლის წლიურ ანგარიშში, რომელიც 2014 წელს გამოვიდა, ნათქვამია, რომ მუსლიმების მიმართ შეუწყნარებლობის გამოვლენის მიზეზი იყო ამგვარი დანაშაულების მიმართ „დაშვებულობის“ დამოკიდებულება, რომლის საშუალებსაც იძლეოდა სისხლის სამართლის კოდექსის პირობები და ამგვარივე დამოკიდებულება ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, ისევე, როგორც დამნაშავეების მხრიდან დაუსჯელობის განცდა და, ზოგ შემთხვევაში, წინასწარ შექმნილი მიკერძოებული შეხედულება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECHR) 7 ოქტომბერს დაადგინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა 2000-2001 წლებში შექმნეს წამახალისებელი გარემო *იეღოვას მოწმეების* მიმართ რელიგიურად მოტივირებული ძალადობის ფართოდ გასავრცელებლად და ვერ მოახერხეს მიეღოთ აუცილებელი ზომები, რათა *იეღოვას მოწმეებს* რელიგიის თავისუფლების თავიანთი უფლების რეალიზება შეძლებოდათ. ამ პერიოდში შედის 2000 წლის შემთხვევა, როცა ნიღბიანმა პოლიციელებმა რელიგიური თავყრილობისას ზუგდიდში დაახლოებით 50 მორწმუნეს სცემეს და დაწვეს ჯგუფის კუთვნილი საკულტო ნაგებობები. *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს* გადაწყვეტილების შემდეგ მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მსხვერპლთათვის რესტიტუციის უზრუნველყოფის პირობა დადო, თანახმად *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს* გადაწყვეტილებისა და ხაზი გაუსვა *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისადმი* ერთგულებას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

პარლამენტის მიერ 27 იანვარს მიღებული რეზოლუციის თანახმად, რომელიც მთავრობას ნებას რთავს ზარალი აუნაზღაუროს ისლამურ, ებრაულ, კათოლიკურ და სომხურ სამოციქულო რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებიც დარეგისტრირდა,

როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, „საბჭოთა პერიოდში მათთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებისთვის;“ 13 მარტს *რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს* დაევალა გაეცა 3.5 მლნ ლარი (1.9 მილიონი აშშ დოლარი) ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. დეკემბერში მთავრობამ მონაცემი შეამცირა დაახლოებით 1.7 მილიონ ლარამდე (909.000 აშშ დოლარი) ბიუჯეტში სახსრების უკმარობის გამო. *კათოლიკური ეკლესიის* მიხედვით, მთავრობისგან მან მიიღო 200.000 ლარი (107.000 აშშ დოლარი), მუსლიმურმა თემმა მიიღო დაახლოებით 1 მილიონი ლარი (535.000 აშშ დოლარი), *სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ* - დაახლოებით 300.000 ლარი (160.000 აშშ დოლარი) და ებრაულმა თემმა - დაახლოებით 130.000 ლარი (70.000 აშშ დოლარი).

რელიგიურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საეჭვოდ მიიჩნია მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ ოთხი რელიგიური ჯგუფი ამოარჩია და შესაფერისად ცნო მიყენებული ზიანისათვის სახსრების გამოსაყოფად და ამ პროცესიდან სხვა კონფესიების გამორიცხვა გააკრიტიკა. *კათოლიკურმა ეკლესიამ* თავდაპირველად უარი თქვა მიეღო დაფინანსება, სანამ ის დენომინაციებიც არ მიიღებდა კომპენსაციას, რომლებიც რეზოლუციაში არ იყო დასახელებული, მაგრამ შემდეგ მიიღო დაფინანსება, როცა *რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტომ* პირობა დადო, რომ 2015 წელს თანხას ორი სხვა დენომინაციაც მიიღებდა.

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სმე იყო ერთადერთი რელიგიური ჯგუფი, რომლისთვისაც სახელმწიფო წლიურ ბიუჯეტში მუხლი იყო გამოყოფილი; წლის განმავლობაში სმე-მ 25 მილიონი ლარი (13.4 მლნ აშშ დოლარი) მიიღო.

მთავრობისა და *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის* ერთობლივი კომისია მეთვალყურეობდა საკუთრების გადაცემას და განსაზღვრავდა, რომელ კულტურულ ძეგლს აქვს რელიგიური მნიშვნელობა, ხოლო *რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტო* არასავალდებულო რეკომენდაციებს გამოსცემდა. რელიგიური უმცირესობის არცერთი ჯგუფი კომისიაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

მთავრობამ გააგრძელა სუბსიდირება ზოგიერთი რელიგიური მნიშვნელობის მქონე საკუთრების აღსადგენად, რომლებიც ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის ძეგლებად განიხილება, საბჭოთა ეპოქის განმავლობაში სახელმწიფოს ჰქონდა მისაკუთრებული და წინა მფლობელებს დაუბრუნდათ. *კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ* წლის განმავლობაში 1.447.338 ლარი (774.000 აშშ დოლარი) გასცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რელიგიური დანიშნულების ნაგებობების აღსადგენად. რელიგიური უმცირესობის რამდენიმე ჯგუფმა განაცხადა, რომ მთავრობის მიერ ამგვარი სახსრებით უზრუნველყოფა თანასწორობის საფუძველზე არ ხდება. *კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს* ცნობით,

მთავრობამ დაიწყო მაჰმადიანური მავზოლეუმის აღდგენა და დახარჯა 90.144 ლარი (48.000 აშშ დოლარი) არამართლმადიდებლურ ტაძრებზე, აქედან 20.000 ლარი (11.000 აშშ დოლარი) - სომხური და კათოლიკური ტაძრების მდგომარეობის მონიტორინგზე და 70.144 ლარი (38.000 აშშ დოლარი) - სურბ ნშანის ტაძრის გამაგრებაზე თბილისში. *კათოლიკური* და *სომხური სამოციქულო ეკლესიების* უფლებამოსილმა პირებმა განაცხადეს, რომ დავები საკუთრებაზე გამჭვირვალე სამართლებრივი მეთოდით არ გადაწყვეტილა და უპარატესობას ანიჭებდა *საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.* წლის ბოლოსათვის, *კათოლიკური ეკლესიის* ცნობით, რუსთავის მერიამ მას ეკლესიის მშენებლობის უფლებაზე უარი უთხრა. *სომხეთის სამოციქულო ეკლესიამ* მოითხოვა ხუთი ტაძრის რესტიტუცია თბილისში და ერთისა ახალციხეში, რომლებიც ამჟამად სახელმწიფო საკუთრებად არის რეგისტრირებული და რომლებზეც პრეტენზიას აცხადებს, როგორც *სომხური სამოციქულო*, ისე *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები.* გარდა ამისა, 30 სხვა ტაძარი, რომლებზეც პრეტენზია აქვს სსე-ს, ისევე, როგორც 5 ტაძარი, რომლებზეც *კათოლიკური ეკლესია* აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გადაცემული აქვს სმე-ს, აგრეთვე დავის საგანი იყო.

ევროსაბჭოს კომისარმა შეშფოთება გამოხატა იმ საეკლესიო ქონების მოვლა-პატრონობის გამო, რომელზეც *სომხეთის სამოციქულო ეკლესია* აცხადებს პრეტენზიას და განაცხადა, რომ ბევრი შენობა განადგურების პირასაა. 19 სექტემბერს თბილისში სურბ მინას ტაძარი ჩამოინგრა. სსე-ს თანახმად, *რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს* წარმომადგენლებმა თქვეს, რომ სახელმწიფო ტაძარს 2015 წელს გადახურავს.

ებრაული თემი დავობს მთავრობის საკუთრების უფლების გამო სინაგოგებზე, რომლებიც რეგისტრირებულია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ორივე სინაგოგა თბილისში ოფიციალურად რჩება სახელმწიფო საკუთრებად. ებრაული თემის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ონის და ქუთაისის სინაგოგები და ახალციხის რაბათის ტერიტორია გადაუდებელ აღდგენას ითხოვს.

მუსლიმური თემი დავობს მთავრობის საკუთრების უფლების გამო რამდენიმე მეჩეთზე ქვემო ქართლში, ადიგენსა და აჭარაში. ბათუმში მუსლიმური თემის ლიდერებმა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ საყოველთაოდ მისაღები გადაწყვეტილებისთვის ბათუმის მეჩეთის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, არამართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიები ღვთისმსახურების ადგილებზე საკუთრების უფლების

რეგისტრაციისას ხელისუფლების წინააღმდეგობას აწყდებიან და მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგობის მიზეზად სმე-ის გავლენა ასახელებენ.

იანვარში *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ* გორში უარი უთხრა *ევანგელისტურ - პროტესტანტულ ეკლესიას* თხოვნაზე შეეძინა შენობა, რომელსაც ის იყენებდა, იმ საფუძველზე, რომ ეკლესიას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიწის ყიდვა, თუ მთავრობის წილი მიწაზე არის 25 პროცენტიზე ნაკლები. ეს მოთხოვნა სმე-ისთვის მოხსნილია.

4 ივნისს თერჯოლის საკრებულომ შეაჩერა მშენებლობის უფლება *იეღოვას მოწმეების სამეფო დარბაზის* ასაშენებლად. *იეღოვას მოწმეების* თემის განცხადებით, ეს შეჩერება ადგილობრივი სმე-ის სამღვდელოებისა და მრევლის ზეწოლის შედეგი იყო და, მისი თქმით, შეჩერების შემდეგ კახა მაკარიძე, დიაკვანი სპირიდონ ცქიფურიშვილი, თემურ გამეზარდაშვილი და რაიონის სხვა მცხოვრებლები „იმუქრებოდნენ და აგრესიულად იქცეოდნენ“ თემის მიმართ.

ევანგელისტურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ შეძლო ახალი საკუთრების გაფორმება, იმიტომ, რომ იგი 2012 წელს დარეგისტრირებულია, როგორც იურიდიული პირი; თუმცა 2012 წლამდე აშენებული საკუთრების სტატუსი კვლავაც სადავოა.

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ იღებდა საჩივრებს რელიგიური დისკრიმინაციის შესახებ სკოლებში მუსლიმური თემის, სსე-ის, *ორმოცდაათიანელთა ეკლესიის, მეშვიდე დღის ადვენტისტებისა* და *საქართველოს პროტესტანტული ეკლესიის* მხრიდან, ისევე, როგორც შეტყობინებებს, მრავალი შემთხვევის შესახებ, როცა მასწავლებლები სკოლაში ხელს უწყობდნენ სმე-ის თეოლოგიას რელიგიის კურსების, საკლასო ოთახებში ლოცვის, ხატებისა და სხვა რელიგიური სიმბოლოების გამოფენის გზით. რელიგიური უმცირესობის ჯგუფების წევრები, მათ შორის ევანგელისტ-ბაპტისტები და მუსლიმები, იტყობინებოდნენ რამდენიმე შემთხვევის შესახებ, როცა სმე-ის კატეხიზმის კურსი ასწავლეს, როგორც საშუალო სკოლის რელიგიის ისტორიის კურსი. მართალია, *განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს* გენერალური ინსპექცია პასუხისმგებელია მასწავლებლების შეუფერებელი მოქცევის შესახებ საჩივრებზე, მაგრამ რელიგიური უმცირესობის ჯგუფების ლიდერებმა განაცხადეს, რომ ოჯახებმა თავი შეიკავეს პრობლების გაცხადებისგან, ინსპექციის ეფექტურობის თაობაზე ეჭვების და მათი შვილებისადმი შესაძლო ანგარიშსწორების გამო.

მთავრობამ მიიღო *ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია* 2014-2020 წლებისთვის, რომელშიც წინ წამოწია რელიგიის თავისუფლება და რელიგიური

უმცირესობის დაცვა. მთავრობამ ასევე დაამტკიცა 2014-2016 წლების სათანადო სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს შესაბამისი სამთავრობო ორგანოების მიერ განსახორციელებელ სამუშაოებს სტრატეგიის გასატარებლად. დასახულ მიზნებს შორის იყო რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რელიგიური სიძულვილით და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებების პრევენცია და შედეგიანი გამოძიება, სამოქალაქო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცება, რელიგიური ორგანიზაციებისადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება, საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით რელიგიური თანასწორობის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერებისა და შემწყნარებლობის დონის ამაღლება.

თებერვალში მთავრობამ შექმნა *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო,* პრემიერ-მინისტრთან რელიგიის პოლიტიკის საკითხების კოორდინირების მიზნით, რომლებიც უკავშირდება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება, საკუთრება და დაფინანსება. *ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა* თავის კვლევაში *რელიგიური დისკრიმინაცია და კონსტიტუციური სეკულარიზმი,* რომელიც საანგარიშო წელს გამოქვეყნდა, განაცხადა, რომ სახელმწიფომ ისე დააარსა სახელმწიფო სააგენტო, რომ არ მოეთათბირა რელიგიური ორგანიზაციების ფართო სპექტრს, სახალხო დამცველს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ რელიგიური უმცირესობის უფლებების დაცვაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს სახელმწიფო სააგენტო იმის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ იყო გამჭვირვალე და მასში რელიგიური უმცირესობები არ ყოფილან ჩართული.

ციხეების უმეტესობას ჰქონდა სმე-ის სამლოცველოები, მაგრამ არ გააჩნდა საგანგებოდ გამოყოფილი არადენომინაციური სივრცე ღვთისმსახურებისთვის.

ხელისუფლების მაღალი დონის წარმომადგენლების მიერ გაგრძელდა რელიგიური უმცირესობის დღესასწაულების ცნობა. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა კათოლიკეებს სააღდგომო წერილი გაუგზავნა და მუსლიმ ლიდერებს რამადანის დროს იფთარზე უმასპინძლა. 4 ოქტომბერს იგი მუსლიმანებს შეუერთდა ყურბან-ბაირამის დღესასწაულის აღსანიშნავად თბილისის ცენტრალურ მეჩეთში.

სახალხო დამცველის აპარატის ტოლერანტობის ცენტრმა, „ლეა“ *საეთაშორისო ფონდმა* და *ებრაელ ქალთა საბჭომ საქართველოს გაეროს ასოციაციის* მხარდაჭერით ჩაატარა ღონიძიება *ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის* აღსანიშნავად, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლები, მათ შორის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

20 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, კულტურის მინისტრის, მიხეილ გიორგაძისა და თბილისის მერის, დავით ნარმანიას, დახმარებით 60 წლის უმოქმედობის შემდეგ გაიხსნა *დავით გაზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი.*

16 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა აანთო ხანუკის პირველი სანთელი თბილისის მთავარ სინაგოგაში. თავის გამოსვლაში დღესასწაულზე მან ებრაულ თემის მიმართ საუკეთესო სურვილები გამოხატა და შენიშნა, რომ „წელს აღინიშნა 26-საუკუნოვანი მეგობრობა ქართველებსა და ებრაელებს შორის.“

დარღვევები აჯანყებულების, საგარეო ძალების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა რჩება და ძნელია ამ რეგიონებიდან სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება. მართალია, ბაპტისტები, ლუთერანები და კათოლიკეები იტყობინებოდნენ, რომ მათ აფხაზეთში მიეცათ ნება ჩართულიყვნენ მთელ რიგ რელიგიურ საქმიანობაში, მაგრამ, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის* ცნობით, ეს ასე არ იყო. სამხრეთ ოსეთში პასუხისმგებელმა პირებმა სმე-ს მსახურების ნება არ დართეს ტაძრებში, რომლებიც ეთნიკურად ქართველებით დასახლებული სოფლების ნულის, ერედვის, მონასტრისა და გერას ახლოსაა.

იეღოვას მოწმეების ზოგიერთმა თემმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელმაც მათ საჯარო რელიგიური შეკრებებისა და მოლაპარაკებების ნება დართო. სამხრეთ ოსეთში *იეღოვას მოწმეები* ოფიციალურად არ უღიარებიათ და ორგანიზაცია კერძოდ ატარებდა რელიგიურ მომსახურებას; შეტყობინებების თანახმად, დე-ფაქტო ხელისუფლება მათ დროდადრო დევნიდა. ახალგორში, სამხრეთ ოსეთში, ადგილობრივი ხელისუფლება *იეღოვას მოწმეებს* კვლავ უშლიდა ხელს რელიგიური მსახურების ჩატარებაში და მათ ლიტერატურას „ექსტრემისტულად“ თვლიდა. *იეღოვას მოწმეები* ოფიციალურად კვლავაც აკრძალულია აფხაზეთში.

ის პირები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეთ ცხოვრობენ, კვლავაც სიძნელეებს აწყდებიან ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთისას და ბრკოლდებიან ოჯახის წევრების საფლავების მონახულებისას, რომლებიც ტერიტორიის შიგნით არის მოქცეული, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთში. ხელისუფლება მონახულების ნებას რთავს არათანამიმდევრულად, მაგალითად, რელიგიურ დღესასწაულებზე.

მეშვიდე დღის ადვენტისტების ცნობით, მათ ჰყავთ ეკლესიის წევრები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ, თუმცა მათთან კავშირი არ აქვთ. *ევანგელისტურ-ბაპტისტურ ეკლესიას* აქვს ეკლესიები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ისინი მოქმედებს *რუსული ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის* იურისდიქციის ქვეშ.

სმე-მ და საქართველოს მთავრობის წარმოამადგენლებმა თქვეს, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აგრძელებს სარესტავრაციო სამუშაოებს იმ ტაძრებზე, რომლებზეც ისტორიულად სმე აცხადებს პრეტენზიებს, მათ შორისაა ლიხნის მონასტერი გუდაუთაში, აფხაზეთში, და სახეს უცვლის არქიტექტურას, რათა აღმოფხვრას კულტურულად ქართული არქიტექტურული მახასიათებლები.

III ნაწილი. საზოგადოების მიერ რელიგიის თავისუფლების პატივისცემა

ორგანიზაცია *იეღოვას მოწმეები* იტყობინებოდა ფიზიკური თავდასხმებისა და დევნის შემთხვევების ზრდის შესახებ. რელიგიური უმცირესობის ჯგუფების ცნობით, არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ რელიგიური უმცირესობის ჯგუფები საფრთხეს უქმნის სმე-ს და ქვეყნის კულტურულ ფასეულობებს.

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის ანგარიში ქვეყანაში რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების შესახებ შეიცავდა კვლევას, რომელშიც რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ *სმე*-ის სამღვდელოება აღვივებდა მტრულ საზოგადოებრივ განწყობებს რელიგიური უმცირესობის თემების მიმართ.

იეღოვას მოწმეების თემი იტყობინება, რომ იანვრიდან აგვისტომდე თემზე ფიზიკური თავდასხმის 25 შემთხვევა აღირიცხა და გაიზარდა შევიწროების, დევნისა და დაშინების შემთხვევები, როგორებიცაა: ფიზიკური ძალადობის მუქარა, *იეღოვას მოწმეების* საჯარო სტენდების განადგურების ცდა და ჯგუფისთვის ლიტერატურის გავრცელებაზე ხელშეშლა.

17 ივნისს ფიზიკური დაპირისპირებისას ქუთაისში, *სამეფო დარბაზთან* ახლოს, გივი ჯელიამ ცხვირი გაუტეხა იეღოვას მოწმეს, ბაჩანა ჯანიაშვილს. *იეღოვას მოწმეების* ცნობით, ჯელია და კიდევ ერთი კაცი იეღოვას მოწმეებს სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ მათი რელიგიის გამო, მაგრამ პროკურატურის გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს კონფლიქტი არ წარმოადგენდა რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევას. პროკურორმა ორივე მხარეს დასდო ბრალი მეორის მიმართ მიყენებული სხეულის დაზიანების გამო. *იეღოვას მოწმეების* თქმით,

ჯანიაშვილს ამ დაზიანებების გამო ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა, რომლის დროსაც სუნთქვის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა. პროკურორმა ჯანიაშვილის სიკვდილის შემდეგ მის წინააღმდეგ საქმე შეწყვიტა. 7 ოქტომბერს ჯელია დამნაშავედ ცნეს სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენებაში.

7 ივლისს თბილისში ხუთმა კაცმა სამი მოქადაგე იეღოვას მოწმის წიგნები გაანადგურა, გადააყირავა მათი ურიკა და სცემა ერთ-ერთი მოწმეს, რომელმაც, უფლებამოსილი პირების თანახმად, მსუბუქი დაზიანებები მიიღო. პოლიციამ მოიპოვა ინციდენტის ვიდეო, მაგრამ ვერ შეძლო ეჭვმიტანილების ამოცნობა, რომლებიც წლის ბოლოსათვის კვლავაც თავისუფალები არიან.

რელიგიური უმცირესობის თემები იტყობინებოდა, რომ წინააღმდეგობა ხვდებოდათ საკულტო მსახურების ადგილებისა და რელიგიური სკოლების დაარსებისას. 10 სექტემბერს ქობულეთში ბავშვებისათვის განკუთვნილი ახალი საცხოვრებელი მედრესეს მოწინააღმდეგეებმა ღორი დაკლეს სკოლის შენობის წინ და ღორის თავი სკოლის კარზე მიაჭედეს. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და რელიგიური თემების ლიდერებმა დაგმეს ეს ინციდენტი. სმე-ის ოფიციალურმა პირებმაც დაგმეს ღორის თავთან დაკავშირებული ინციდენტი, მაგრამ თქვეს, რომ მუსლიმური სკოლა-პანსიონის აშენება არსებითად ქრისტიანებით დასახლებულ რაიონში უმრავლესობის ნებას ეწინააღმდეგებოდა. ინციდენტის შემდეგ პროტესტის გამომხატველებმა გადაკეტეს სკოლის შესასვლელი და ხელი შეუშალეს ადმინისტრატორებსა და მოსწავლეებს შენობით ესარგებლათ. საპროტესტო აქცია გაგრძელდა ოქტომბერში და წლის ბოლოსათვის სკოლა არ ამუშავებულა. *სახალხო დამცველის აპარატმა* მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს გამოევლინათ დამნაშავეები და პასუხისგებაში მიეცათ, მაგრამ წლის ბოლოსათვის გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

ქობულეთის ინციდენტის შემდეგ *მედიის განვითარების ფონდმა* განაცხადა სიძულვილის ენის გამოყენების ზრდის შესახებ მუსლიმური თემის მიმართ. ერთ შემთხვევაში ელიზბარ ჯაველიძემ, კონსერვატული ჯგუფის „სახალხო კრების“ წარმომადგენელმა, დაიჩივლა, რომ მეჩეთები „ყოველ 10 ნაბიჯზეა“ და მათ „ქრისტიანობის დამარბეველი იარაღი“ უწოდა.

არამართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიების წევრებმა *ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს* განუცხადეს მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი წინააღმდეგობის შესახებ. *ორმოცდაათიანელების ეკლესიამ* ვერ გამოძებნა ადგილი დღესასწაულის აღსანიშნად. შეტყობინების თანახმად, *სომხური სამოციქულო ეკლესიის* სურბ ეჩმიაძინის ტაძრის გარეთ კერძო დავა გადაიზარდა შეტაკებაში რელიგიური შეურაცხყოფის თანხლებით.

IV ნაწილი. აშშ-ის მთავრობის პოლიტიკა

საელჩოს წარმომადგენლები შეხვდნენ და წერილობით მიმართეს უფლებამოსილ პირებს *სახალხო დამცველის აპარატიდან,* საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს უმცირესობების საკითხებზე, *მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს* და *შინაგან საქმეთა სამინისტროს* (შსს), რათა გამოეხატათ შეშფოთება ქობულეთსა და მოხეში რელიგიური უმცირესობის ჯგუფებთან დაკავშირებული ინციდენტების თაობაზე. აღნიშნული შეხვედრების დროს ელჩმა და საელჩოს წარმომადგენლებმა მოუწოდეს ხელისუფლებასა და რელიგიური უმცირესობის ჯგუფებს შორის დიალოგის წარმართვას, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალურ შემწყნარებლობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ.

3 ივლისს, საქართველოს ელჩმა და საელჩოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონფესიათაშორის ვახშამში - იფთარში, რომელსაც ერთობლივად უმასპინძლა *ქართველ მუსლიმთა კავშირმა* და *საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტურმა ეკლესიამ.* ღონისძიებამ ერთად შეკრიბა ქვეყნის მრავალფეროვანი მუსლიმური თემის ლიდერები, *ევანგელისტურ-ბაპტისტური კავშირი* და მთავრობის წარმომადგენლები.

ივლისში, თბილისის სურბ ეჩმიაძინის ტაძარში ჩხუბის შემდეგ, საელჩოს თანამშრომლები სომხური თემის წევრებს და სახალხო დამცველს შეხვდნენ, რათა ვითარება შეესწავლათ და მათი საწუხარი მოესმინათ. საელჩოს თანამშრომლები ასევე შეხვდნენ მთავრობის წარმომადგენლებს *რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან,* პრეზიდენტის მრჩეველს უმცირესობის საკითხებზე და შსს-ს, რათა ხაზი გაესვათ რელიგიური შემწყნარებლობის საკითხებისადმი სათუთად მიდგომის აუცილებლობისათვის და მოეწოდებინათ შედეგიანი და გულმოდგინე გამოძიებისკენ.

სექტემბერში საელჩოს თანამშრომლები ესაუბრნენ მუსლიმთა თემის ლიდერებს, სახალხო დამცველს და შსს-ს იმ ინციდენტის შემდეგ, როცა ქობულეთში ღორის თავი მიაჭედეს მედრესეს კარზე. ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს წერილი გაუგზავნა, რომელიც გულმოდგინე და გამჭვირვალე გამოძიებისკენ მოუწოდებდა დამნაშავეთა გამოსავლენად და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოსაყენებლად.

ოქტომბერში ელჩი ბათუმში გაემგზავრა, რათა ადგილობრივ რელიგიურ ლიდერებთან ემსჯელა ქობულეთის ინციდენტთან დაკავშირებით რელიგიის თავისუფლების პრობლემების ირგვლივ, ისევე როგორც მუსლიმთა თემის ბრძოლის

თაობაზე ღვთისმსახურებისთვის შესაფერისი სივრცის მისაღებად, ან არსებული მეჩეთის გაფართოებაზე უფლების მიღებით, ან ახლის აშენებით. იქ ყოფნისას იგი ცალკე შეხვდა *ქართველ მუსლიმთა კავშირს, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს* და სმე-ს, რათა მოესმინა მათი შეხედულებები მთავრობის ჩართულობის შესახებ მუსლიმთა თემის საკითხებში და ემსჯელა რელიგიური შემწყნარებლობისა და თავისუფლების მნიშვნელობაზე.

ოქტომბერში საელჩოს თანამშრომლები ყოველდღიურად ელაპარაკებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, *სახალხო დამცველის აპარატს,* მუსლიმთა თემს და შსს-ს იმ კვირების განმავლობაში, რომლებიც მოჰყვა სამართალდამცავ ორგანოებსა და პროტესტის გამომხატველებს შორის დაპირისპირებას მოხეში სადავო ადგილას სათემო ცენტრის მშენებლობის დაგეგმვის გამო.

ელჩმა რეგიონის გუბერნატორს წერილი გაუგზავნა, რომელშიც წაახალისა ადგილობრივი თემის პრობლემებში მთავრობის ჩართულობა, რათა მოიძებნოს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, მოხეს ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და, მეორე მხრივ, რელიგიის თანასწორობისა და თავისუფლების პრინციპების მხარდასაჭერად. საელჩომ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაითვალისწინა მცირე გრანტები რელიგიური უმცირესობის ახალგაზრდობის მხარდამჭერ პროგრამებზე, უფასო იურიდიულ დახმარებაზე რელიგიური უმცირესობისთვის, რელიგიური უმცირესობის ჯგუფების შესაძლებლობების გაძლიერებასა და სამოქალაქო განათლების ინიციატივებზე, რომლებიც მხარს უჭერს რელიგიურ უმცირესობას. ეს გრანტები ასევე მხარს უჭერს რელიგიური უმცირესობის შესახებ საინფორმაციო პროგრამებს ჟურნალისტებისა და სტუდენტებისათვის.